

სახლის ხატი და დაბრუნება სახლში დევნილთა ნარატივებში

მარიამი პერტაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი პერტაია

26.06.2019.

აბსტრაქტი

დევნილები რომლებიც მშობლიური ადგილიდან შორს აგრძელებენ ცხოვრებას, მოგონებების საშუალებით ცდილობენ, რომ ახსოვდეთ წარსული და მშობლიური სახლი. ისინი ერთმანეთთან და ახალგაზრდა თაობასთან კომუნიკაციური მეხსიერების საშუალებით ახდენენ საკუთარი დევნილობამდელი და ახლანდელი სიტუაციის ინტერპრეტაციას. დევნილები ამ გახსენებით ქმნიან თავიანთ მეხსიერებას და მომავლის იმედს.

ნაშრომის მიზანია ქართველი დევნილების, საკუთარი სახლის, როგორც საცხოვრისის გახსენების მნიშვნელობისა და თავისებურების დადგენა და მისი როლის გამოკვეთა მათ დღევანდელ იდენტობაში. ამ გახსენებაში რა ატრიბუტებს ანიჭებენ უპირატესობას, როგორ გადაცემენ მომავალ თაობას დევნილობამდე ცხოვრებას, როგორ მიიჩნევენ დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხს. ჩემი კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს დადგენა იმისა, არსებობს თუ არა დევნილთა თაობებს შორის განსხვავება დაბრუნების თვალსაზრისით. ამ მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში წარმოდგენილია თეორიული მასალები, რომელიც განიხილავს სახლის მნიშვნელობას და აჩვენებს, რომ იგი ემოციური ხასიათისაა, ასოცირდება დაცულობასთან, უსაფრთხოებასთან, იდენტობასთან, და სხვა. ასევე ნაშრომში წარმოდგენილია კოლექტიური მეხსიერების ცნების განვითარება, რადგან დევნილთა ნარატივები არის საერთო მეხსიერების შექმნის პროცესი და ორიენტირებულია კონკრეტული ჯგუფის იდენტობასთან. რა თქმა უნდა არსებობს ისტორიული ფაქტი, რომელიც წარმოაჩენს წარსულს, თუმცა დევნილები კომუნიკაციური მეხსიერებით აცოცხლებენ ამ წარსულს და ამით ახდენენ თავიანთი აწყმოს ჩვენებას.

აღნიშნული კვლევა თვისებრივია და გულისხმობს სიღრმისეულ ინტერვიუს, შერჩევის ტიპი არააღბათურია, რესპონდენტების დასაკავშირებლად გამოყენებულია მისი ერთ-ერთი სახე თოვლის გუნდა.

ძირითადი ტერმინები: სახლი, ნარატივი, კოლექტიური მეხსიერება, კომუნიკაციური მეხსიერება, კულტურული მეხსიერება.

Abstract

Internally displaced people that continue living away from their native places, attempt to remember their past and native home. Using the communicative memory among each other and younger generation, they try to interpret the contemporary situation and the past before their field. By bringing up those memories IDPs try to maintain their past and create the hope for the future.

The purpose of this work to identify the importance and peculiarity of one's home for Georgian IDPs as well as to highlight its role in their present identity. The work also refers to what elements of their past memory, IDP give preference to, how they transfer the knowledge to younger generation, specifically ones about the time preceding their displacement and what are their thoughts about returning home.

Based on this ideas, one can find theoretical materials in this work, that shows the importance of home, its connection to emotionality to the feeling of security and protection as well as person's identity and etc.

In the work you can find the development of the term "collective memory", as stories of IDPs can be unified in the process of creating collective memory and it is directed to the identity of one specific group of people. There is not proved historical facts which will show the past, however the IDPs with their communicative memory, bring their past to life and based on it they show their present.

The above mentioned research is based on qualitative methodology though detailed interviews. The selection process of interviews is not based on probabilities, in order to reach to the respondent I have used one of the methodologies "snow ball".

Key words: home, narrative, collective memory, communicative memory, cultural memory.

მადლობა

მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას, რომელიც დამეხმარა ნაშრომის სწორი მიმართულებით წაყვანისკენ. მისი შენიშვნები და რჩევები მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული საკვლევი თემის ირგვლივ საკითხის ყველა ასპექტის გაანალიზებასა და თეორიული მასალის ჩამოყალიბებაში.